ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

**ოქმი N 39**

11 მარტი, 2020 წელი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

12:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

ანა ლაშხი

გიორგი ბირბიჩაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა. მისი განცხადებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ კორონავირუსის რისკებთან დაკავშირებით გაითვალისწინა დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციები და საკითხების საჯარო განხილვაში დაინტერესებულმა მხარეებმა მონაწილეობა მიიღეს ონლაინ რეჟიმში.

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვის ონლაინ რეჟიმში ჩართული იყო ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი

გია ედილაშვილი

ასევე დაინტერესებული მოქალაქეები:

კობა ბოთერაშვილი

ანი გიორგობიანი

ზიზი ერისთავი

ფიქრია გოგოლაძე

ზვიად გელაშვილი

ოთარ დავითაძე

დავით მაისურაძე

თინათინ სამხარაძე

თინათინ ნიბლოშვილმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

## დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ბოთერაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევისპირის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბერთუბნის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის პეტრე გამჯაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის თამაზ ძიძიგურის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის ქუჩისთვის, მასთან არსებული I ჩიხის და I შესახვევის სახელდების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსანდრე მანაგაძის IV ჩიხის მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბახვა გოგოლაძის სახელის მინიჭების შესახებ

7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის ექიმის, საზოგადო მოღვაწის თენგიზ გაზდელიანის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იუნკერის ნიკოლოზ კალანდარიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, წყაროს ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის წყაროს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ციხისძირის ქუჩის მონაკვეთისთვის, ციხისძირის V გასასვლელისთვის და დიდგორის II ჩიხისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის ზაურ მახარაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კოტე ხიმშიაშვილის ქუჩისთვის დოდო და კოტე ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მამუკა ბეინაშვილის ქუჩის გაგრძლების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ივანე იუმაშევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი თარხნიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილის გაგრძელების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის გიორგი ჭყონდიდელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ბოთერაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით 2019 წლის 19 მარტს კომისიაში შემოვიდა სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის პირველი მოადგილის ნიკოლოზ კვეზერელის წერილი, რომელიც გვიგზავნის მოქალაქე ინეზა გაბელაიას განცხადებას. იგი ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ბოთერაშვილის სახელი.

2019 წლის 12 ივლისს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ვახტანგ ყორიაულის განცხადება, რომლითაც ითხოვს ზღვისუბნის დასახლებაში მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხები. საქმისწარმოების პროცესის საფუძვლიანად ჩატარების მიზნით კომისიამ გამოითხოვა გიორგი ბოთერაშვილის საბრძოლო მოკვლევა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან. როგორც ირკვევა, გიორგი ბოთერაშვილი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

კომისიამ მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა უსახელო ტერიტორია. აღმოჩნდა, რომ ქუჩა უსახელოა და მდებარეობს გია რომელაშვილის ქუჩასთან.

სხდომას ონლაინ რეჟიმში ჩაერთო სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან წარმომადგენელი გია ედილაშვილი. მან აღნიშნა რომ ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს აღნიშნულ გადაწყვეტილებას. ასევე ჩაერთო ოჯახის წევრი კობა ბოთერაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მისი ძმის, გიორგი ბოთერაშვილის ღვაწლის დაფასებისთვის. და აღნიშნა, რომ მისი ოჯახისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გია რომელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ბოთერაშვილის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევისპირის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბერთუბნის სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით მოქალაქე ოთარ დავითაძის განცხადების საფუძველზე, გლდანის რაიონში, ე.წ. „ბერთუბნის" დასახლებაში მდებარე ხევისპირის ქუჩა საკადასტრო ერთეულის და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობის მიერ ორ ნაწილადაა გაყოფილი და ფიზიკურად შეუძლებელია ქუჩის ერთი ნაწილიდან მეორეზე მოხვედრა. განმცხადებელი ასევე აღნიშნავს, რომ ქუჩა 2014 წლამდე ბერთუბნის სახელს ატარებდა და ითხოვს ერთ-ერთი მონაკვეთის დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბებას და მისთვის ბერთუბნის სახელის მინიჭებას.

კომისიის წარმომადგენლებმა ადგილზე მოახდინეს საკითხის შესწავლა და მოისმინეს ქუჩაზე მაცხოვრებელთა მოსაზრებები. მიზანშეწონილია ერთ-ერთი მონაკვეთის დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბება.

სხდომას ონლაინ რეჟიმში ჩაერთო დაინტერესებული პირი ოთარ დავითაძე და მადლობა გადაუხადა კომისიას მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებისთვის.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მოქალაქეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ხევისპირის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ბერთუბნის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ხევისპირის ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს ბერთუბნის სახელი მიენიჭოს.

3. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის პეტრე გამჯაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა კომისიაში შემოვიდა მოქალაქე მაია ღამბაშიძის განცხადება. იგი ითხოვს ვახტანგ გორგასლის #79-ის მიმდენარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო სპორტული მოედნისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის პეტრე გამჯაშვილის სახელის მინიჭებას.

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა გაუწია შიუამდგომლობა აღნიშნულ საკითხს. აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის პეტრე გამჯაშვილის საბრძოლო მოკვლევიდან ირკვევა, რომ იგი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით

კომისიამ საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩის შესახვევთან მდებარე უსახელო სპორტულ მოედანს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის პეტრე გამჯაშვილის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის თამაზ ძიძიგურის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, 2019 წლის 12 სექტემბერს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე ნათელა ბერიძის მიმართვის საფუძველზე მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს ე.წ. დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დასახლებაში უსახელო ტერიტორიის სახელდებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. აღმოჩნდა, რომ გეოგრაფიული ობიექტი წარმოადგენს უსახელო ჩიხს, რომელიც მდებარეობს თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: საბურთალოს რაიონში, თამაზ ძიძიგურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭოს თამაზ ძიძიგურის I ჩიხის სახელი.

5. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, ციურიხის ქუჩისთვის, მასთან არსებული I ჩიხის და I შესახვევის სახელდების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე ზაალ ქუმსიაშვილის განცხადება. როგორც მოქალაქე განმარტავს, ციურიხის ქუჩის ჩიხი კვეთს მისი და მისი მეზობლების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს და ითხოვს ხარვეზის გამოსწორებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში ქუჩას ციურიხის სახელი მიენიჭა ერთიანი 2011 წლის 30 სექტემბრის #62 დადგენილების თანახმად. ხსენებული აქტით სახელი მიენიჭა რამდენიმე ათეულ ქუჩას, დადგენილების ერთიან კარტოგრაფიულ მასალაზე ძნელად იდენტიფიცირდება კონკრეტული ქუჩა. ამდენად კომისიას ხსენებული უზუსტობის აღმოფხვრის

მიზნით მიზანშეწონილად მიაჩნია ციურიხის ქუჩისთვის სახელის ხელახლა მინიჭება ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე

საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში, სახელდებულ იქნეს ციურიხის ქუჩა, მასთან არსებული I ჩიხი და I შესახვევი.

6. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსანდრე მანაგაძის IV ჩიხის მიმდებარედ არსებული უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბახვა გოგოლაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით შემოსულია საქართველოს პარლამენტის წევრის კობა კობალაძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე ნანა გეწაძეს, იგი ითხოვს ავჭალაში, ალ.მანაგაძის ჩიხის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბახვა გოგოლაძის სახელი. კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. შეისწავლა ასევე აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბახვა გოგოლაძის საბრძოლო მოკვლევა, საიდანაც ირკვევა, რომ იგი დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

სხომას ონლაინ რეჟიმში ჩაერთო სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან წარმომადგენელი გია ედილაშვილი. ასევე ჩაერთო ოჯახის წევრი ფიქრია გოგოლაძე. მათ მადლობა გადაუხადეს კომისიას აფხაზეთში დაღუპული მებრძოლის ღვაწლის დაფასებისთვის.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეექვსე საკითხი.

საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ალექსანდრე მანაგაძის IV ჩიხის მიმდებარედ არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბახვა გოგოლაძის სახელი.

7. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის ექიმის, საზოგადო მოღვაწის თენგიზ გაზდელიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომისიაში შემოსულია მოქალაქე ლია მაისურაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს თენგიზ გაზდელიანის სახელი. ასევე კომისიაში შემოსულია საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის ზურაბ კაკაბაძის იგივე შინაარსის წერილი.

2019 წლის 28 მარტს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას წერილი, რომლითაც მოქალაქე მაკა ოტიაშვილი მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და მითითებული საკადასტრო ერთეულის მიხედვით შეისწავლა ტერიტორია. თენგიზ გაზდელიანის ბიოგრაფიის შესწავლის პროცესში აღმოჩნდა, რომ ის იყო როგორც ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ასევე დამსახურებული ექიმიც.უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან. ქუჩასთან განვითარებულია ასევე ერთი შესახვევი.

სხდომას ესწრებოდა მოქალაქე დავით მაისურაძე. მან ოჯახის სახელით მადლობა გადაუხადა კომისიას ინიცირებისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეშვიდე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ვაკის რაიონში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს ექიმის, საზოგადო მოღვაწის თენგიზ გაზდელიანის სახელი.

8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის იუნკერის ნიკოლოზ კალანდარიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით კომისიამ ორი წლის წინ დაიწყო ტაბახმელაში იუნკერების სახელობის ქუჩების ჩამოყალიბება. კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგებლის დავით კირკიტაძის წერილი, რომელითაც ტაბახმელაში მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი მიმართვის საფუძველზე ითხოვს მითითებული საკადასტრო ერთეულების მიხედვით უსახელო ტერიტორიის სახელდებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის დროს დადგინდა, რომ უსახელო ქუჩა მდებარეობს ტაბახმელას ველის ქუჩასთან და მასთან განვითარებულია ორი შესახვევი. ტაბახმელაში ორი ქუჩა უკვე ატარებს იუნკერების სახელებს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ სახელდებისთვის შეარჩია იუნკერ ნიკოლოზ კალანდარიშვილის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელაში, ტაბახმელას ველის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს იუნკერის ნიკოლოზ კალანდარიშვილის სახელი.

9. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმციით 2018 წლის 26 ნოემბერს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის მ/შ გიორგი ტაბატაძის წერილი, რომლითაც მოქალაქე ელგუჯა სუპატაშვილი ითხოვს ვარკეთილი-3-ის II მ/რ-ში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.

2019 წლის 17 ივნისს კომისიაში შემოსულია საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარის რეზო ჭანიშვილის, კავშირის საპატიო თავმჯდომარის ომარ მხეიძის, კავშირის მრჩეველთა საპატიო საბჭოს თავმჯდომარის ფრიდონ სულაბერიძის წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს გამოჩენილი ქორეოგრაფის, ქართული ცეკვის დიდი მოამაგის, სახალხო არტისტის დავით ჯავრიშვილის სახელი.

კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და დავით ჯავრიშვილის ბიოგრაფია და დავით ჯავრიშვილის წვლილი ქართული ქორეგრაფიის განვითარებაში.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცხრე საკითხი.

მომხრე - ოთხი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, იოთამ ზედგინიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ორ შესახვევს მიენიჭოს ქორეოგრაფის დავით ჯავრიშვილის სახელი.

10. ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, წყაროს ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის წყაროს I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარეს ინფორმაციით 2019 წლის 5 ნოემბერს კომისიაში შემოსულია მოქალაქე ანი გიორგობიანის განცხადება, რომლითაც ითხოვს უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას. კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი მდებარეობს წყაროს ქუჩასთან და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს მის I შესახვევს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომას ონლაინ რეჟიმში ჩაერთო განმცხადებელი ანი გიორგობიანი, მან მადლობა გადაუხადა კომისიას იმ პრობლემის მოგვარებაში, რომელსაც იწვევდა აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტისთვის გზის სტატუსის არქონა.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით კომისიამ დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე

საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სოფელ გლდანში, წყაროს ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევს მიენიჭოს წყაროს I შესახვევის სახელი.

11. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ციხისძირის ქუჩის მონაკვეთისთვის, ციხისძირის V გასასვლელისთვის და დიდგორის II ჩიხისთვის ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის ზაურ მახარაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის განმარტებით კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის კახაბერ ლაბუჩიძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე ზვიად გელაშვილს, რომელიც ციხისძირის ქუჩის მაცხოვრებლების სახელით ითხოვს ციხისძირის ქუჩის მონაკვეთს #72-104-ის ჩათვლით მიენიჭოს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის ზაურ მახარაშვილის სახელი.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ციხისძირის ქუჩა შედგება ერთმანეთთან გეგმარებითი კავშირის არმქონე მონაკვეთებისგან. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს მოქალაქეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ქუჩის ერთი მონაკვეთისთვის ზაურ მახარაშვილის სახელის მინიჭებას.

საკითხის შესწავლის დროს ასევე გამოიკვეთა, რომ დიდგორის ქუჩასთან ქალაქგეგმარებით კავშირში არ არის დიდგორის II ჩიხი. ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიზანშეწონილია იგი ჩამოყალიბდეს ზაურ მახარაშვილის I ჩიხად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომას ონლაინ რეჟიმში ჩაერთო განმცხადებელი ზვიად გელაშვილი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას იმ გმირების დაფასებისთვის, ვინც სამშობლოს ერთიანობისთვის გაწირა თავი. ციხისძირის V გასასვლელს კი მიენიჭოს ზაურ მახარაშვილის I გასასვლელის სახელი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მეთერთმეტე საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს:ისნის რაიონში, ციხისძირის ქუჩის მონაკვეთს, ციხისძირის V გასასვლელს და დიდგორის II ჩიხს მიენიჭოს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის ზაურ მახარაშვილის სახელი.

12 ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კოტე ხიმშიაშვილის ქუჩისთვის დოდო და კოტე ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს:კომისიის თავმჯდომარემ აცნობა კომისიის წევრებს, რომ კომისიაში შემოსულია ა(აიპ) საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის, მწერლების მზია ხეთაგურის და გივი შაჰნაზარის, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირექტორის ბადრი ქუთათელაძის, ჟურნალ „დილის" რედაქტორის დოდო წივწივაძის წერილი, რომლითაც ითხოვენ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ქართული საბავშვო მწერლობის კლასიკოსის დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორიას სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა დოდო ხიმშიაშვილის ბიოგრაფია. დოდო ხიმშიაშვილის ღვაწლი და დამსახურება ღირსების ორდენით აღინიშნა. მინიჭებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია.

ვინაიდან სახელდების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის წევრების სახელების ერთი ქუჩისთვის მინიჭებას და თბილისში უკვე არსებობს კოტე ხიმშიაშვილის ქუჩა (ძველი თბილისის რაიონი /ახლ. ჩუღურეთის რ-ნი; 2012 წ.) დოდო და კოტე ხიმშიაშვილები კი გახლდნენ და-ძმა, მიზანშეწონილად მივიჩნევთ მოცემულ შემთხვევაშიც ხსენებული პრაქტიკის გაგრძელებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხდომას ონლაინ რეჟიმში ჩაერთო დოდო ხიმშიაშვილის ოჯახის წევრი ზიზი ერისთავი. მან მადლობა გადაუხადა კომისიას მისი ოჯახის წევრების ღვაწლის დაფასებისთვის.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთორმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს : ჩუღურეთის რაიონში, კოტე ხიმშიაშვილის ქუჩას მიენიჭოს დოდო და კოტე ხიმშიაშვილების სახელი.

13. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მამუკა ბეინაშვილის ქუჩის გაგრძლების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებლის ირაკლი ხელაძის წერილი, რომლითაც მოქალაქე იმედა შიოლაშვილი ითხოვს ხორნაბუჯის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ხორნაბუჯის შესახვევის სახელდების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის #100 განკარგულების შეცვლას. მოქალაქეთა განცხადებით, შესახვევსა და ძირითად ქუჩას შორის კავშირი არ არსებობს და ფიზიკურად შეუძლებელია ტერიტორიაზე შესვლა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ ადგილზე მოახდინა ტერიტორიის შესწავლა. გამოიკვეთა, რომ დღეს არსებული შესახვევის მდებარეობა ვერ იქნება გადაადგილებისთვის გამოყენებული, ფაქტობრივი მიზეზების გათვალისწინებით. ასევე დადგინდა, რომ ტერიტორიაზე მისასვლელად გაყვანილია ახალი გზა. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას ოპტიმალურ გადაწყვეტილებად მიაჩნია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 4 მაისის #100 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და მამუკა ბეინაშვილის ქუჩის გაგრძელება, რომლითაც მოხდება განმცხადებელი მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების დამისამართება.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეცამეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში გაგრძელდეს მამუკა ბეინაშვილის ქუჩა

14. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ივანე იუმაშევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი თარხნიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით კომისიაში შემოსულია მოქალაქე რუსუდან ხიხაძის განცხადება, რომლითაც ითხოვს ლილოს დასახლებაში ერთ-ერთი ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი თარხნიშვილის სახელის მინიჭებას. ასევე კომისიაში შემოსულია სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის ვლადიმერ იმნაძის წერილი, რომლითაც შუამდგომლობს მოქალაქე ციცინო თარხნიშვილს, რათა ლილოს დასახლებაში ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი თარხნიშვილის სახელი.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და შეისწავლა ტერიტორია. საქმისწარმოების პროცესის სრულყოფილად ჩატარებისთვის კომისიამ გამოითხოვა გიორგი თარხნიშვილის საბრძოლო მოკვლევა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან. როგორც ირკვევა, გიორგი თარხნიშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

სახელდებისთვის შეირჩა უსახელო ქუჩა სამგორის რაიონში, ივანე იუმაშევის ქუჩასთან. აქვე ასევე განვითარებულია შესახვევი.

თინათინ ნიბლოშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთოთხმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: სამგორის რაიონში, ივანე იუმაშევის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი თარხნიშვილის სახელი.

15. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, რუსთავის გზატკეცილის გაგრძელების შესახებ

მოისმინეს: 2019 წლის 10 ოქტომბერს კომისიაში შემოსულია შპს „ჯი-ემ-პი"-ს წარმომადგენლის თინათინ სამხარაძის #10/031928317-03 განცხადება, რომელიც განმარტავს, რომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" 2019 წლის 2 ოქტომბრის #M19017689/3 გადაწყვეტილებით შპს „ჯი-ემ-პი"-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მისამართად მიენიჭა სოფელი ფონიჭალა, ცოტნე დადიანის ქუჩა #2.

კომპანიის განცხადებით, ტერიტორია ადმინისტრაციული თვალსაზრისით არ მდებარეობს სოფელ ფონიჭალაში, შესაბამისად მიზანშეწონილია დამისამართება რუსთავის გზატკეცილით.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ საკითხის შესწავლის დროს იხელმძღვანელა „საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 9[1] მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის N6-27 გადაწყვეტილების და „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის N6-17 გადაწყვეტილების პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი N2-ის შესაბამისად და ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 30 სექტემბრის # 64 დადგენილების, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ელექტრონული რუკებით.

როგორც დგინდება, განცხადებაში მითითებული უძრავი ქონება არასოდეს არ ყოფილა სოფელ ფონიჭალის საზღვრებში, თუმცა სოფელ ფონიჭალაში ცოტნე დადიანის ქუჩის სახელდების პროცესში ქუჩის ათვლის წერტილად განისაზღვრა ფონიჭალის დასახლებასა და განცხადებაში მითითითებული საკადასტრო ერთეულის (01.18.13.017.018) კვეთასთან მდებარე ხიდი. ამდენად, ტერიტორიის რამდენიმე ასეულ მეტრიან მონაკვეთზე მდებარე უძრავი ქონების მისამართებად განისაზღვრა სოფელი ფონიჭალა, რაც განპირობებულია ცოტნე დადიანის ქუჩის ათვლის წერტილის არასწორი განსაზღვრით.

სხდომას ონლაინ რეჟიმში ჩაერთო თინათინ სამხარაძე. მან მხარი დაუჭირა კომისიის გადაწყველებას.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ხსენებულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს ცოტნე დადიანის ქუჩის სიტუაციურ ნახაზზე მითითებული მონაკვეთისთვის რუსთავის გზატკეცილის სახელის მინიჭებას.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთხუთმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: კრწანისის რაიონში გაგრძელდეს რუსთავის გზატკეცილი.

16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის გიორგი ჭყონდიდელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, მ/წლის 21 იანვარს კომისიაში შემოსულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურის უფროსის ნინო ბახიას #04-03200213-03 წერილი, რომლითაც გიორგი ჭყონდიდელის ქუჩაზე მიმდინარე განაშენიანების პროცესიდან გამომდინარე, ითხოვს ზემოხსენებულ ქუჩასთან არსებული მონაკვეთი ჩამოყალიბდეს ცალკე გეოგრაფიულ ობიექტად და მოხდეს მისი სახელდება.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ტერიტორიის შესწავლის შემდგომ აღმოჩნდა, რომ უსახელო გეოგრაფიული ობიექტი, რომელიც მდებარეობს გიორგი ჭყონდიდელის ქუჩასთან, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს ზემოაღნიშნული ქუჩის I ჩიხს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნაძალადევის რაიონში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭოს გიორგი ჭყონდიდელის I ჩიხის სახელი.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთექვსმეტე საკითხი.

მომხრე - ოთხი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხს მიენიჭოს გიორგი ჭყონდიდელის I ჩიხის სახელი.

დასასრულს კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღევანდელი კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას საკრებულოს წევრები მიიღებენ საკრებულოს სხდომაზე.

თინათინ ნიბლოშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი